

**უძრავი ქონების რემონტის და შიგთავსის დაზღვევის პირობების (ხელშეკრულება) # RPI 001/18
თავსართი (მნიშვნელოვანი პირობები)**

1. მზღვეველი - სააქციო საზოგადოება სადაზღვევო კომპანია პრაიმი (ს/კ 204540274);
2. დაზღვევის ხელშეკრულების სახეობა: უძრავი ქონების (ბინა) რემონტის და შიგთავსის დაზღვევა;
3. თუ ამის შესახებ სპეციალურად არის მითითებული სადაზღვევო პოლისში, სადაზღვევო დაფარვა დამატებით შეიძლება მოიცავდეს ასევე დაზღვეული უძრავი ქონების (ბინა) ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევას;
4. უძრავი ქონების (ბინა) რემონტის და შიგთავსის დაზღვევა მოიცავს დაზღვევის ორ პროგრამას, „პოლისი სტანდარტი“ და „პოლისის პრაიმი“, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან სადაზღვევო თანხებით/ლიმიტებით და ბინის ფართობით;
5. დაზღვეული რისკები, სადაზღვევო თანხის ოდენობა, სადაზღვევო შენატანის (პრემიის) ოდენობა/გადახდის წესი, ზარალის არაანაზღაურებადი ნაწილის - უპირობო ფრანშიზის ოდენობა და გამოყენების წესი, სადაზღვევო პერიოდი (დაზღვევის მოქმედების ვადა, დასაწყისი/დასასრული)/ხელშეკრულების მოქმედების ვადა მითითებულია სადაზღვევო პოლისში (შემდგომში “პოლისი”);
6. დამზღვევის მიერ პრემიის გარდა შესაძლო ფინანსური ხარჯები:
პირგასამტეხლო - პრემიის გადახდის ვადაგადაცილების (გადახდის გრაფიკის დარღვევის) შემთხვევაში, დავალიანებული თანხის (პრემიის) 0.2 %-ის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა დაიწყება მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის დავალიანების შესახებ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. პირგასამტეხლოს გადახდა დამზღვევს არ ათავისუფლებს პრემიის გადახდისაგან, ამასთან, სადაზღვევო პრემიის განწილვადებით გადახდის შემთხვევაში, დამზღვევის მიერ გადახდის გრაფიკის დარღვევის დროს, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისაგან მთლიანი სადაზღვევო პრემიის ერთდროულად გადახდა (6.5 პუნქტი);
7. გამონაკლისები (შემთხვევები, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას):
7.1. უძრავი ქონების (ბინა) რემონტის და შიგთავსის დაზღვევისათვის ხელშეკრულების მე-3 მუხლი;
7.2. დაზღვეული უძრავი ქონების (ბინა) ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოდგენილი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის მე-14 მუხლის, 14.1. პუნქტი;
8. ანაზღაურებაზე უარის თქმის სხვა საფუძვლები მითითებულია 6.3., 6.4., 7.2., 9.4., 10.4 პუნქტებში;
9. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები მითითებულია 7.9 - 7.12 პუნქტებში, 8.2. პუნქტის (ვ) ქვეპუნქტში.
10. დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის პრეტენზიების წარდგენის/პასუხის მიღების თაობაზე ინფორმაცია და მზღვეველის საზედამხედველო ორგანოს შესახებ ინფორმაცია მითითებულია 13.6. - 13.16 პუნქტებში.
11. დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაზღვევის განხორციელების ყველა ეტაპზე, ვინაიდან, მზღვეველი წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების/მოქმედების დროს ხელმძღვანელობს მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციით.

უძრავი ქონების რემონტის და შიგთავსის დაზღვევის პირობები (ხელშეკრულება) # RPI 001/18

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს დამზღვევასა და მზღვევებს შორის გაფორმებულ უძრავი ქონების რემონტის და შიგთავსის დაზღვევის პირობებს (ხელშეკრულება). წინამდებარე ხელშეკრულების დადების შესახებ მზღვეველის მიერ გაიცემა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი - სადაზღვევო პოლისი და დაზღვევა განხორციელდება სადაზღვევო განაცხადის, წინამდებარე ხელშეკრულების, სადაზღვევო პოლისისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სადაზღვევო განაცხადი და სადაზღვევო პოლისი წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. სადაზღვევო განაცხადი, წინამდებარე ხელშეკრულება და პოლისი წარმოადგენს ერთიან სადაზღვევო დოკუმენტს. სადაზღვევო პოლისისა და წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს შორის წინააღმდეგობის (კოლიზია) შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ დებულებებს.

ხელშეკრულება ძალაშია დამზღვევის მიერ სადაზღვევო განაცხადის შევსების და ხელმოწერის / ელ. დადასტურების საფუძველზე დამზღვევისათვის გადმოცემული სადაზღვევო პოლისთან ერთად.

სადაზღვევო განაცხადის და სადაზღვევო პოლისის გარეშე წინამდებარე ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და ეთანხმება მათ.

სადაზღვევო პოლისზე გრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

წინამდებარე ხელშეკრულება შეიცავს, ასევე, დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი მატერიალური პასუხისმგებლობის დაზღვევას (მესამე პირისთვის დატბორვით, ხანძრით ან აფეთქებით მიყენებული ზიანი).

სარჩევი

განმარტებები	1
1. დაზღვევის ობიექტი/საგანი	2
2. სადაზღვევო შემთხვევები	2
3. გამონაკლისები სადაზღვევო დაფარვიდან	3
4. სადაზღვევო თანხა	4
5. ფრანშიზა	4
6. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი	4
7. დაზღვევის ხელშეკრულება: გაფორმების წესი, მოქმედების ვადა და შეწყვეტა	5
8. მხარეების უფლებები და ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად	6
9. სადაზღვევო ანაზღაურება	7
10. დამზღვევის მიერ მესამე პირებისგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადაცემა მზღვეველზე (სუბროგაცია)	9
11. ორმაგი და არასრული დაზღვევა	9

12. დაზღვეულ ობიექტზე უფლებების გადასვლა სხვა პირზე	10
13. დავების გადაწყვეტის წესი და სხვა პირობები	10
14. დამატებითი დაფარვა	10

განმარტებები

მზღვეველი - სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი (ს/ნ 204540274);

დამზღვევი - სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური პირი, რომელიც აზღვევს ქონებას, აგსებს სადაზღვევო განაცხადს, უშუალოდ აფორმებს წინამდებარე ხელშეკრულებას მზღვეველთან და ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;

მოსარგებლე - არის დაზღვეული, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისში დასახელებული ერთი ან რამდენიმე პირი, რომელიც ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

მესაკუთრე - დაზღვეული ქონების მესაკუთრე; წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის დაზღვეული/მოსარგებლე ამავდროულად არის მესაკუთრე;

სადაზღვევო განაცხადი (განაცხადი) - დამზღვევის მიერ შევსებული ხელმოწერილი / ელ. დადასტურებული კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებელი გარემოებები/ინფორმაცია;

სადაზღვევო თანხა (ლიმიტი) - სადაზღვევო პოლისში მითითებული თანხა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. შესაძლოა სადაზღვევო პოლისში განისაზღვროს ქველიმიტი სხვადასხვა ტიპის ქონების ან/და რისკებისათვის;

სადაზღვევო პოლისი (პოლისი) - მზღვეველის მიერ გაცემული, დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების/დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გადაეცემა დამზღვევს;

დაზღვეული რისკი - მოვლენა, რომლის შესაძლო დადგომის გამო ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება/გაიცემა პოლისი;

სადაზღვევო პრემია (პრემია) - დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით;

გამომუშავებელი სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო პერიოდის მოქმედების დასრულებამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

გამომუშავებელი სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

სადაზღვევო შენატანები - სადაზღვევო პრემიის ერთჯერადი ან პერიოდული გადახდები, რომლებსაც ახორციელებს დამზღვევი;

სადაზღვევო შემთხვევა - ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვლენის დადგომა, რომლის შედეგად მზღვეველს წარმოეშობა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვევის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო ტერიტორიაზე დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად ქონების დაზიანება, განადგურება ან დაკარგვა.

სადაზღვევო ტერიტორია - პოლისში მითითებული დაზღვეული ქონების კონკრეტული მისამართი (იხ. პოლისში მითითებული საკადასტრო კოდი), სადაც ვრცელდება დაზღვევა. დაზღვევა არ გავრცელდება იმ ქონების მიმართ, რომელსაც გადაადგილებენ ან რომელიც მდებარეობს სხვა ტერიტორიაზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული სადაზღვევო პოლისში;

სადაზღვევო პერიოდი - პოლისით განსაზღვრული, დაზღვევის მოქმედების პერიოდი დროითი ფრანშიზის გათვალისწინებით;

ფრანშიზა (არანაზღაურებადი მინიმუმი) - პოლისში მითითებული თანხა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელი ზარალის თანხას (სადაზღვევო ანაზღაურებას);

დროითი ფრანშიზა — პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დამგარი სადაზღვევო შემთხვევით მიღწეული ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება და შეადგენს დაზღვევის ძალაში შესვლიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღეს..

სადაზღვევო ანაზღაურება- თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გაიცემა მზღვეველის მიერ დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის სახელზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

ცვეთა- დროთა განმავლობაში დაზღვეული ქონების ბუნებრივი გაუფასურება;

დაზღვეული ქონება - დამზღვევის/დაზღვეულის საკუთრებაში/დამზღვევის კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონება, რომელიც მითითებულია პოლისში, განაცხადში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე (აღწერილია განაცხადში) და მდებარეობს პოლისში მითითებულ მისამართზე;

შიგთავსი - ავეჯი, ტელე-ვიდეო-აუდიო აპარატურა, სარეცხი მანქანა, მაცივარი, მტვერსასრუტი, გათბობის და გაგრილების საშუალებები და მოწყობილობები, გაზის და ელექტრო ღუმელი, კომპიუტერული ტექნიკა, თმის საშრობი, სამზარეულოს მოწყობილობები - მიქსერი, კომბაინი, მადურარა;

შიდა მოპირკეთება - კედლების შპალერი და/ან სხვა ტიპის საფარი, დაკიდული ქერი, იატაკი, ფანჯრები, კარები.

1. დაზღვევის ობიექტი/საგანი

- 1.1. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის/მოსარგებლის ქონებრივი ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეული ქონების დაკარგვის, განადგურების ან დაზიანების რისკთან;
- 1.2. ხელშეკრულების თანახმად, დაზღვევას ექვემდებარება შემდეგი სახის ქონება: შიგთავსი ან/და შიდა მოპირკეთება;
- 1.3. დაზღვევა არ ვრცელდება შემდეგი სახის ქონებაზე:
 - 1.3.1. ნაღდი ფული ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში;
 - 1.3.2. აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
 - 1.3.3. ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, გეგმები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, საბუღალტრო და საქმიანი წიგნები და იქ განთავსებული ინფორმაცია;
 - 1.3.4. მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და ა.შ.;
 - 1.3.5. ძვირფასი და იშვიათი ლითონები მავთულების, ზოდების, ქვიშის, თვითნაბადი ფორმით, ასევე ძვირფასი თვლები, საიუველირო ნაკეთობები;
 - 1.3.6. ქონება გამოფენაზე ექსპონირების დროს;

- 1.3.7. ხე-ტყე და შეშა;
 - 1.3.8. ინფორმაციის ტექნიკური მატარებლები, კერძოდ მაგნიტური ფირები და კასეტები, მაგნიტური დისკები და მეხსიერების ბლოკები და ა.შ., და მათზე განთავსებული ინფორმაცია;
 - 1.3.9. მარკების, მონეტების, ფულადი ნიშნების, ბონების და სხვა მსგავსი კოლექციები, ასევე ნახატები, სურათები, ქანდაკებები და ხელოვნების სხვა ნიმუშები;
 - 1.3.10. მომზამლავი, კუსტიკური და ასაფეთქებელი ნივთიერებები;
 - 1.3.11. იარაღი და საბრძოლო მასალა;
 - 1.3.12. დაუსრულებელი მშენებლობის ობიექტები;
 - 1.3.13. ცხოველები და მცენარეები;
 - 1.3.14. სატრანსპორტო საშუალებები; სამშენებლო / სასოფლო-სამეურნეო და სხვა გადაადგილებადი დანადგარები;
 - 1.3.15. შენობებისა და ნაგებობების გარე კედლებზე დამაგრებული ობიექტები (ანძები, ანტენები, ღია ელექტროსადენები, სარეკლამო დანადგარები, ბილბორდები, დამცავი სახეჩები ან ვიტრინების ფარდულები და ა.შ.);
 - 1.3.16. ავტომატები, რომლებიც იღებენ გადახდას მონეტების ან ჯეტონების სახით, ასევე ბანკომატები;
 - 1.3.17. შენახვაზე ან კომისიაზე მყოფი საქონელი/ნივთი;
 - 1.3.18. კავშირგაბმულობისა და ელექტროგადაცემის ხაზები, მიწისქვეშა კომუნიკაციები. რემონტისა და მშენებლობის პროცესში მყოფი ქონება;
 - 1.3.19. ქონება გადაზიდვისას;
 - 1.3.20. ქონება, რომელიც იმყოფება სადაზღვევო ტერიტორიაზე, მაგრამ არ ეკუთვნის დამზღვევს/მოსარგებლს ან/და არ არის მითითებული სადაზღვევო პოლისში ან/და სადაზღვევო განაცხადში;
 - 1.3.21. ქონება, რომელიც ინახება ღია ცის ქვეშ არ ექვემდებარება დაზღვევას ქურდობისგან, დაბინძურებისგან ან ბუნების ზემოქმედებისგან;
 - 1.3.22. მიწის ნაკვეთები, მიწის სამუშაოები, ხიდები, გადასასვლელები, გზები, ასფალტირებული მონაკვეთები;
 - 1.3.23. კვების პროდუქტები;
 - 1.3.24. მხატვრულად დამუშავებული მინები;
 - 1.3.25. საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომლის ასაკი აღემატება 8 წელს;
 - 1.3.26. ქონება, რომელიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით;
 - 1.3.27. ქონება, რომელიც განთავსებულია შენობაში, რომლის წლოვანება აღემატება 55 წელს, თუ ამის შესახებ სადაზღვევო პოლისში ან/და სადაზღვევო განაცხადში შესაბამისი კომენტარი არ არის მითითებული.
- 1.4. დაზღვევა არ ვრცელდება:
- ა) ქონებაზე ან/და ქონებრივ ინტერესზე, რომელიც დაზღვევის სხვა სახეობით არის დაზღვეული;
 - ბ) ქონება, რომელიც განთავსებულია შენობაში, რომელიც დადგენილი წესით მიჩნეულია ავარიულად.

2. სადაზღვევო შემთხვევები

- 2.1. ქონება შეიძლება დაზღვეული იყოს დაზიანების, განადგურების ან დაკარგვისგან, რომელიც შემდეგი მოვლენებით არის გამოწვეული შემდეგი სადაზღვევო რისკებით:

- 2.1.1. **ხანძარი** - წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, ნიშნავს ცეცხლის წარმოქმნას, რომელიც ვრცელდება იმ ადგილების გარეთ, რომლებიც განკუთვნილია ამ ცეცხლის გასაჩაღებლად და შესაძარჩუნებლად. ცეცხლით დაზიანება, თუ ხანძარს ადგილი არ ჰქონია, ანაზღაურებას არ ექვემდებარება;
- 2.1.2. **აფეთქება** - ორთქლის ქვაბების, გაზის საცავების, გაზის მილების, აპარატების და სხვა ანალოგიური მოწყობილობების აფეთქება, ასევე საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული ფეთქებადი ნივთიერებებისა და გაზის აფეთქება;
- 2.1.3. **კვამლით დაზიანება, რომელიც შედეგად მოყვას ხანძარს** - დაზღვეული ქონების უშუალოდ კვამლით, რომელიც მოყვას ხანძარს მიყენებული ზიანი (დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება);
- 2.1.4. **სტიქიური უბედურებები** - წვიმა (თუ მოსული ნალექის მოცულობა არემატება 10სმ/24სთ-ს), სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი პროცესებით ატმოსფეროში;
- 2.1.5. **მეზობლის ბინიდან წყლის ჩამოსვლა** - წყლის ჩამოსვლა ზედა სართულზე მცხოვრები პირებისგან;
- 2.1.6. წყალგაყვანილობის, ელექტროგაყვანილობის, გათბობის, საკანალიზაციო ან ხანძარსაქრობი სისტემების უეცარი და მოულოდნელი ავარია; სადაზღვევო ტერიტორიაზე წყლის ან სხვა სითხეების უეცარი და მოულოდნელი გაჟონვა სხვა სათავსოებიდან.
- 2.1.7. ქურდობა ძალისმიერი შეღწევით, ძარცვა და ყაჩაღობა;
- 2.1.8. მესამე პირების სხვა სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედება:
წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომელიც მიმართულია დაზღვეული ქონების დაზიანების / განადგურებისკენ და საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც:
- ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება;
- ვანდალიზმი (ანუ დაზღვეული ქონების უაზრო დაზიანება ან განადგურება).
დაზღვევით არ იფარება და არ ანაზღაურდება ზარალი, რომლის მიზეზია ისეთი ქმედება, რომელიც საგამომძიებო ორგანოების მიერ ზემოაღნიშნულისგან განსხვავებულად იქნება კვალიფიცირებული.
3. **გამონაკლისები სადაზღვევო დაფარვიდან**
- 3.1. 2.1 პუნქტში მითითებული მოვლენები არ წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევას, თუ მათი მიზეზია:
- 3.1.1. ბირთვული ენერგიის გამოყენება ნებისმიერი ფორმით და ამ გამოყენების შედეგები, რადიაციის, რადიოაქტიური დაბინძურების, მაიონიზებული გამოსხივების, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადსაშიში ან სხვა მავნე ნივთიერებების, ასევე ისეთი ნივთიერებების ზემოქმედება, რომელიც შეიცავს რომელიმე ფეთქებად ბირთვულ ნაწილაკებს;
- 3.1.2. ომი ან ნებისმიერი სახის საომარი ქმედებები და მათი შედეგები, იმის მიუხედავად, იყო თუ არა გამოცხადებული ომი, ნებისმიერი აღიარებული ან არაღიარებული ხელისუფლების შეიარაღებული ძალების თავდასხმა ხმელეთიდან, ჰაერიდან ან ზღვიდან, ან ასეთი თავდასხმის უშუალო საფრთხე, ასევე მანევრები ან სხვა სამხედრო ღონისძიებები;
- 3.1.3. სამოქალაქო ომი, შეიარაღებული აჯანყება, ამბოხი, შეიარაღებული მემამოხეების ან ტერორისტების ქმედებები, ასევე მათ ჩახშობაზე მიმართული ხელისუფლების ქმედებები, სახალხო მღელვარება, მასობრივი არეულობები, გაფიცვები და ლოკაუტები;
- 3.1.4. ქონების კონფისკაცია, რეკვიზიცია, დაყადაღება, განადგურება ან დაზიანება სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებით; ასევე, ადმინისტრაციული ორგანოების, საინტარული, საბაჟო, საკარანტინო სამსახურების და ზედამხედველობისა და კონტროლის სხვა ორგანოების ქმედებები;
- 3.1.5. დამზღვევის/მოსარგებლის) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის განზრახი ქმედება, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახანძრო ან სხვა ტიპის უსაფრთხოების ზომების დარღვევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესაბამისი ნორმებიდან გადახრა შეთანხმებულია (ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე) სპეციალურ სახელმწიფო სტრუქტურებთან;
- 3.1.6. ბომბების, ყუმბარების, ნალმების ან სხვა ტიპის იარაღის შენახვა ან გამოყენება;
- 3.1.7. ჯარიმები, საურავები და სხვა ფულადი ფორმის საჯარიმო სანქციები;
- 3.1.8. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ქონების საბაზრო ღირებულების შემცირებით გამოწვეული ზიანი;
- 3.1.9. მწერების, მღრღნელების და სხვა ცხოველი ორგანიზმებით დაზიანება;
- 3.1.10. დამზღვევის/მოსარგებლის, მისი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის ან მასთან ერთად მცხოვრები პირის პროფესიული საქმიანობით გამოწვეული ზიანი;
- 3.1.11. ნარკოტიკული/ფსიქოტროპული/ალკოჰოლური ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი დამზღვევის/მოსარგებლის, მისი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის ან მასთან ერთად მცხოვრები პირის ქმედებით გამოწვეული ზიანი;
- 3.1.12. დამზღვევის / მოსარგებლის, მათი ოჯახის წევრების, ასევე ნებისმიერი პირების, რომლებიც ცხოვრობენ სადაზღვევო ტერიტორიაზე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობა დაზღვეული ქონების მიმართ;
- 3.1.13. გზის საფარების ან ტროტუარების, ასევე ფუნდამენტების, კედლების, მზიდი კონსტრუქციების ან გადახურვების, საინჟინრო ნაგებობების დაწევა, დასკდომა, შეკუმშვა, გაფართოება ან ამობურცვა, თუ ეს არ წარმოადგენს უეცარი და მოულოდნელი გარე ზემოქმედების შედეგს;
- 3.1.14. დაზღვეული ქონების განთავსების შენობა-ნაგებობების დეფექტები და ნაკლოვანებები, რომლებიც არსებობდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის, რომელიც ცნობილი უნდა ყოფილიყო დამზღვევისთვის ან მისი უფლებამოსილი პირებისთვის; წარმოების დეფექტები, უხარისხო მასალები, პროექტირების, დაგეგმარების და დიზაინის შეცდომები;
- 3.1.15. დაზღვეული ქონების განთავსების შენობების ჩამონგრევა ან / და ბზარების წარმოქმნა არა სადაზღვევო რისკების დადგომის შედეგად;
- 3.1.16. დაზღვეული ქონების დაბინძურება მავნე ნივთიერებებით;
- 3.1.16.1. ანაზღაურებას არ ექვემდებარება წყლის ან მიწის დაბინძურება, ასევე დრენირების სისტემის გაწმენდის ხარჯები;
- 3.1.17. დაზღვეული ქონების დაზიანება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების მსვლელობისას, ასევე დაზღვეული ქონების განთავსების შენობების რეკონსტრუქციის დროს;

- 3.1.18. დაზღვეული ქონების აუხსნელი გაუჩინარება, მისი დანაკლისი, დაზღვეული ქონების დაკარგვა, ჩვეულებრივი (ძალისმიერი შეღწევის გარეშე) ქურდობა, გატაცება ან დამალვა;
- 3.1.19. დაზღვეულ ქონებაზე წვიმის, თოვლის ან სხვა ნალექების ზემოქმედება, ტემპერატურის ცვალებადობის, ტენიანობის ან სხვა ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედება, რომელიც დამახასიათებელია მოცემული კლიმატური და ამინდის პირობებისთვის, ასევე დაზღვეული ქონების ფერის, სუნის, წონის ცვლილება, ან მისი გამოფიტვა, ცვეთა, აორთქლება და დაზღვეულის ქონების კოროზია, ჟანგვა, დუღილი, ბაქტერიებით ან სოკოთი დაზიანება, ლპობა ან სხვა ბუნებრივი პროცესები;
- 3.1.20. ;
- 3.1.21. ელექტრონული მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა, მათ შორის ელექტროენერგიის ცვალებადობის, ელექტრომაგნიტური იმპულსის შედეგად;
- 3.1.22. დაზღვეული ქონების ქურდობა ან გატაცება 2.1.1– 2.1.6 პუნქტებში მითითებული მოვლენების დროს ან უშუალოდ მათ შემდეგ;
- 3.1.23. ასევე, არ ანაზღაურდება:
- 3.1.23.1. დაზღვევის ძალაში შესვლამდე დამდგარი ზარალი;
- 3.1.23.2. ელექტროგაყვანილობის, გათბობის, გაზგაყვანილობის, კანალიზაციის მოხმარების ჩვეულებრივი ნორმების დაუცველობით მიყენებული ზიანი;
- 3.1.23.3. ცვეთადი ნაწილების შეცვლის ხარჯები, ისეთი, როგორიცაა: ფილტრები, საფენები, რეზინები, რეზინის მილები, ნათურები, დამცველები, კაბელები და ელექტროსადენები, რომლებიც არ წარმოადგენენ შიდა მოპირკეთების ელემენტებს, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;
- 3.1.23.4. დაზღვეული ქონების მწყობრიდან გამოსვლით (მათ შორის ელექტროენერგიის ცვალებადობით) მიყენებული ზიანი;
- 3.1.23.5. ზარალი ან დაზიანება გამოწვეული დაზღვეული ქონების ცეცხლით, სითბოთი ან სხვა თერმული დამუშავების შედეგად;
- 3.1.23.6. ზარალი გამოწვეული დაზღვეულ ფართში ან ნაგებობაში წვიმის, თოვლის და სეტყვის შეღწევით ღია ფანჯრებიდან, კარებიდან, ასევე ხვრელებიდან, რომელიც გაკეთებულია წინასწარ განზრახვად ან წარმოქმნილია სიძველით ან სამშენებლო დეფექტით;
- 3.1.23.7. აივნისთვის/ვერანდისათვის წვიმით, სეტყვით, წყალდიდობით მიყენებული ზიანი;
- 3.1.23.8. მეხის დაცემით გამოწვეული ელექტრონული მოწყობილობის ან დანადგარის დაზიანება ხანძრის წარმოშობის გარეშე;
- 3.1.23.9. შენობის ბოლო სართულზე/სხვენში/მანსარდაში მდებარე დაზღვეული ქონების შემთხვევაში, თუ დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად დაზიანებული სახურავის შესაკეთებლად გაიცა ანაზღაურება, მზღვეველი არ ანაზღაურებს მომდევნო ზარალს, თუ სახურავის შეკეთება არ მოხდა;
- 3.1.23.10. ქონების დაუდგენელ ვითარებაში დაკარგვა / გაუჩინარება;
- 3.1.23.11. ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობით გამოწვეული ზარალი თუ დაზღვეული ქონება მიტოვებულია მეთვალყურეობის გარეშე 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით;
- 3.1.23.12. თუ დაზღვევმა/მოსარგებლემ დაზღვევის
- 3.1.23.13. განხორციელების/სადაზღვევო შემთხვევის აღიარების/სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია /დოკუმენტი წარმოადგინეს წინასწარი შეცნობით არაბუსტი ან ყალბი;

- 3.1.23.14. თუ დაზღვევმა/მოსარგებლემ/მათ ოჯახის წევრმა განზრახ ჩაიდინა მართსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან.

4. სადაზღვევო თანხა

- 4.1. თუ დაზღვევზე გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება, მაშინ ანაზღაურების ჯამური ლიმიტი მცირდება გაცემული ანაზღაურების ოდენობით. ზემოთ ხსენებული მცირდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღიდან. დაზიანებული ობიექტის აღდგენის შემდგომ დაზღვევს უფლება აქვს დამატებითი სადაზღვევო პრემიის ს გადახდის ანაცვლოდ აღადგინოს თავდაპირველი სადაზღვევო თანხა.
- 4.2. მზღვეველს უფლება აქვს დაადგინოს ანაზღაურების ქველიმიტები ცალკეული რისკების, ლოკაციების, ქონებისა და დაზღვევის სახეობების მიხედვით.
- 4.3. თუ დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი სადაზღვევო თანხა აღმოჩნდება დაზღვეული ობიექტის რეალურ ღირებულებაზე ნაკლები სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის, ზარალი ანაზღაურდება იმ პროპორციით, რა პროპორციასაც შეადგენს სადაზღვევო თანხა დაზღვევის ობიექტის რეალურ ღირებულებასთან შემთხვევის დადგომის მომენტისათვის. ეს პროპორცია დგინდება დაზღვევის ხელშეკრულებაში (პოლისში) მითითებული თითოეული ობიექტისთვის ცალ-ცალკე ან მათი ერთობლიობისთვის.
- 4.4. ნებისმიერ შემთხვევაში ჯამური სადაზღვევო ანაზღაურება არ უნდა აჭარბებდეს სადაზღვევო თანხას.

5. ფრანშიზა

- 5.1. პოლისში შესაძლოა მიეთითოს მზღვეველის მიერ არანაზღაურებადი ზარალის ოდენობა - ფრანშიზა, რომელიც ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისგან, თუ ზარალის სიდიდე არ აღემატება გარკვეულ ოდენობას.
- 5.2. ხოლო, თუ ზარალის სიდიდე აღემატება ფრანშიზას, ეს უკანასკნელი აკლდება თითოეულ სადაზღვევო ანაზღაურებას სადაზღვევო შემთხვევაზე. ფრანშიზა ასევე შესაძლოა გამოხატული იყოს დროით ერთეულში. აღნიშნულ პერიოდში დამდგარი ზარალები არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

6. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი

- 6.1. სადაზღვევო პრემიის გადახდა წარმოებს პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით.
- 6.2. დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) არანაკლებ ერთი წლის ვადით გაფორმებისას დაზღვევს შეიძლება მიეცეს პრემიის განვადებით გადახდის უფლება. ასეთ შემთხვევაში, დაზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია პოლისში მითითებული წესითა და ვადებში.
- 6.3. დაზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის სრულად ან პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში პირველი შენატანის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია ყოველგვარი ვალდებულებისაგან, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 6.4. დაზღვევის მიერ, პოლისით გათვალისწინებულ ვადაში და ოდენობით პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, ამგვარი დარღვევიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღისა (საშელავათო პერიოდი) გამოსწოროს

დარღვევა და სრულად დაფაროს გადასახდელი პრემია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდგომ, მზღვეველი თავისუფლდება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მოვალეობისაგან დამზღვევისათვის ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დამზღვევი, სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევიდან 28 (ოცდარვა) დღის ვადაში არ დაფარავს გრაფიკით გადასახდელ პრემიას, მაშინ, ამ ვადის გასვლის შემდგომ, წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება/პოლისი გაუქმდება, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამ შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია გადაუხადოს მზღვეველს დამზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტამდე/პოლისის გაუქმებამდე გამომუშავებული სადაზღვევო პრემია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეწყვეტა/გაუქმების თარიღისათვის ადგილი ქონდა სადაზღვევო ანაზღაურებას, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაუხადოს მზღვეველს პოლისით გათვალისწინებული წლიური პრემიის დარჩენილი ნაწილი. პრემიის გადახდა უნდა მოხდეს შეწყვეტა/გაუქმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

დამზღვევის მიერ, საშელავათო 14 -დღიანი პერიოდის შემდეგ მომდევნო 14 (თოთხმეტ) დღეში სადაზღვევო პრემიის დავალიანების სრულად გადახდის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება დაიწყება დავალიანების დაფარვის დღის 24:00 საათიდან. ხოლო, საშელავათო პერიოდის ბოლო დღის 24:00 საათიდან დავალიანების დაფარვის დღის 24:00 საათამდე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა/ები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

ამასთან, ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად პრემიის დროულად გადაუხდელობა (მათ შორის არასრული ოდენობით გადახდა) არ იწვევს დაზღვევის ავტომატურ შეწყვეტას.

პოლისში მითითებულ ვადაში, პრემიის ერთჯერადი/პირველი ნაწილის გადაუხდელობის შემთხვევაში, საშელავათო პერიოდის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება წყდება/პოლისი უქმდება.

- 6.5. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის დააკისროს მას პირგასამტეხლო დავალიანებული პრემიის 0.2%-ის ოდენობით; პირგასამტეხლოს დარიცხვა დაიწყება მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის გაგზავნილ დავალიანების შესახებ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. პირგასამტეხლოს გადახდა დამზღვევს არ ათავისუფლებს პრემიის გადახდისაგან; ამასთან, სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში დამზღვევის მიერ გადახდის გრაფიკის დარღვევის დროს მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისაგან მთლიანი სადაზღვევო პრემიის ერთდროულად გადახდა.

7. დაზღვევის ხელშეკრულება: გაფორმების წესი, მოქმედების ვადა და შეწყვეტა

- 7.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მზღვეველი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის (სადაზღვევო პრემიის) სანაცვლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვლენის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას აუნაზღაუროს დამზღვევს ან მის მიერ დასახელებულ პირს, რომლის სასარგებლოდ ფორმდება ხელშეკრულება (მოსარგებლეს) ზარალი, რომელიც ამ მოვლენის შედეგად მიაღწა დაზღვეულ ქონებას (გასცეს სადაზღვევო

ანაზღაურება), დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი თანხის (სადაზღვევო თანხის/ლიმიტის) ფარგლებში.

- 7.2. დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც კანონმდებლობის ან/და ხელშეკრულების საფუძველზე აქვს დასაზღვევად მიღებული ქონების შენარჩუნების (სადაზღვევო) ინტერესი (მესაკუთრე ან პირი, რომლის კანონიერ მფლობელობაში იმყოფება დაზღვეული ქონება). თუ სადაზღვევო შემთხვევისას მოსარგებლე ვერ უზრუნველყოფს დაზღვეული ქონების მიმართ სადაზღვევო ინტერესის დადასტურებას მზღვეველი უარს ითხვის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე. ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ისე, რომ დამზღვევს/მოსარგებლეს არა აქვს დაზღვეული ქონების შენარჩუნების (სადაზღვევო) ინტერესი, ითვლება ძალადაკარგულად.
- 7.3. სადაზღვევო განაცხადის წარდგენისას დამზღვევმა შესაბამისი საბუთების დახმარებით უნდა დაადასტუროს თავისი უფლებები და ინტერესი (მოსარგებლის უფლებები და ინტერესი) დასაზღვევ ქონებაში.
- 7.4. დაზღვევის ხელშეკრულება ფორმდება დამზღვევის წერილობითი განაცხადის საფუძველზე სადაზღვევო პოლისის გაცემის გზით, რომელსაც ხელს აწერს მზღვეველის უფლებამოსილი პირი.
- 7.5. დაზღვევის ხელშეკრულების გასაფორმებლად დამზღვევი წარუდგენს მზღვეველს ხელმოწერილ / ელ. დადასტურებულ განაცხადს (კითხვარს) დადგენილი ფორმის ბლანკზე. განაცხადში ის ვალდებულია მიუთითოს ზუსტი და სრული მონაცემები დაზღვევის ობიექტის შესახებ და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია განაცხადის ბლანკის რეკვიზიტების შესაბამისად.
- 7.6. განაცხადით გათვალისწინებული მონაცემების გარდა, დამზღვევი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს ნებისმიერი სხვა, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რისკის ხარისხის შეფასებისა და შესაძლო ზარალის მოცულობის განსაზღვრისათვის.
- 7.7. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას მზღვეველი უფლებამოსილია დაათვალიეროს დაზღვევის ობიექტი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში დანიშნოს ექსპერტიზა მისი რეალური ღირებულების დადგენისა და რისკის ხარისხის შეფასების მიზნით.
- 7.8. დაზღვევის ხელშეკრულება/სადაზღვევო პოლისი ძალაში შედის პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი დღის 24 საათზე და მოქმედებს მასში მითითებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე.
- 7.9. დაზღვევის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
- დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის ან მისი მორიგი შენატანის გადაუხდელობა დაზღვევის ხელშეკრულებით (პოლისით) დადგენილ ვადებში;
 - მზღვეველის მიერ დამზღვევის მიმართ ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი ვალდებულებების სრული მოცულობით შესრულება (ვალდებულებების შესრულების დღიდან);
 - ვადის გასვლით.
- 7.10. დაზღვევის ხელშეკრულება ასევე ვადამდე წყდება, თუ მისი ძალაში შესვლის შემდეგ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობა გაქრა და სადაზღვევო რისკის არსებობა შეწყდა სადაზღვევო შემთხვევისაგან განსხვავებული მიზეზით (მაგალითად დაზღვეული ქონების განადგურება სადაზღვევო შემთხვევისაგან განსხვავებული მიზეზით). ამ დროს მზღვეველს უფლება აქვს მიიღოს სადაზღვევო პრემიის ნაწილი იმ პერიოდის პროპორციულად, როდესაც დაზღვევა ძალაში იყო.

- 7.11. დამზღვევის ინიციატივით სადაზღვევო პოლისის გასაუქმებლად/ხელშეკრულების შეწყვეტისათვის, მან ამის თაობაზე წერილობით, ერთი თვით ადრე უნდა შეატყობინოს მზღვეველს. ამ შემთხვევაში, დამზღვევს უკან დაუბრუნდება გაუქმების თარიღისათვის გადახდილი გამოუმუშავებელი პრემიის 80% (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამზღვევი სადაზღვევო პოლისს აუქმებს სხვა ქონების დაზღვევის სანაცვლოდ; ამასთან, გაუქმების თარიღისათვის გაუქმებულ პოლისზე არ უნდა ფიქსირდებოდეს ანაზღაურებული ზარალი). პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია სრულად დაფაროს გაუქმების თარიღისათვის გამოუმუშავებელი პრემია და დამატებით - გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის 20%. იმ შემთხვევაში, თუ გაუქმების თარიღისათვის ადგილი ქონდა სადაზღვევო ანაზღაურებას, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პრემია, ხოლო უკვე გადახდილი პრემია უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
- 7.12. მზღვეველს უფლება აქვს ცალმხრივად გააუქმოს დაზღვევის პოლისი/შეწყვეტოს ხელშეკრულება,, რის თაობაზეც დამზღვევს გაეგზავნება წერილობითი/ელ.ფოსტის/SMS შეტყობინება გაუქმებამდე თოთხმეტი კალენდარული დღით ადრე. ამ შემთხვევაში, დამზღვევს უკან დაუბრუნდება გაუქმების თარიღისათვის გადახდილი გამოუმუშავებული პრემია. პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია სრულად დაფაროს გაუქმების თარიღისათვის გამოუმუშავებული პრემია. იმ შემთხვევაში, თუ გაუქმების თარიღისათვის ადგილი ქონდა სადაზღვევო ანაზღაურებას, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პრემია, ხოლო უკვე გადახდილი პრემია უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
- 7.13. ქონება ითვლება დაზღვეულად მხოლოდ პოლისში მითითებულ ტერიტორიაზე (სადაზღვევო ტერიტორია). დაზღვეული ქონების სხვა ტერიტორიაზე გადაადგილების დროს დაზღვევა ასეთ ქონებასთან მიმართებაში წყდება, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 7.14. დამზღვევს უფლება აქვს გააფორმოს დაზღვევის ხელშეკრულება მესამე პირის (მოსარგებლის) სასარგებლოდ.
- 7.15. დამზღვევს უფლება აქვს შეცვალოს დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებული მოსარგებლე სხვა პირით, მზღვეველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. მოსარგებლის შეცვლა დაუშვებელია მას შემდეგ, რაც მან შეასრულა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე თავისი ვალდებულება ან წარუდგინა მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნა. მზღვეველის მხოლოდ მაშინ არის ვალდებული გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლეს, თუ მოსარგებლე ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.
- 7.16. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება მოსარგებლის სასარგებლოდ არ ათავისუფლებს დამზღვევს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებებისგან, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან თუ მისი ვალდებულებები შეასრულა მოსარგებლემ.
- 7.17. ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით, რომელსაც მხარეები ამოწმებენ ხელმოწერებით.
8. **მხარეების უფლებები და ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად**
- 8.1. მზღვეველი ვალდებულია:

- ა) გააცნოს დამზღვევს მოცემული პირობებისა და დაზღვევის ხელშეკრულების დებულებები;
- ბ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დამზღვევისგან ყველა საბუთის/ინფორმაციის მიღების შემდეგ, რომლებიც ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიზეზებსა და ზარალის სიდიდეს;
- გ) არ გაახმაუროს მონაცემები დამზღვევისა და მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- 8.2. დამზღვევი ვალდებულია:
- ა) დროულად გადაიხადოს სადაზღვევო შენატანები;
- ბ) დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას შეატყობინოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის შეფასებისათვის, ასევე დაზღვევის ობიექტთან დაკავშირებით ყველა დადებული თუ დასაბუთებელი დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ;
- გ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს ყველა საჭირო ზომა ზარალის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, ფაქტისა და ზარალის სიდიდის შემდგომი წერილობითი დადასტურებით; შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს;
- დ) შეინახოს ქონების დაზიანებული ან/და დარჩენილი ნაწილები და წარუდგინოს ისინი მზღვეველს შესაბამისად, თუ ამ მოთხოვნის შესრულება არ ზრდის ზარალის სიდიდეს, ხოლო თუ დაზიანებული დაზღვევის ობიექტის შენახვა მზღვეველის წარმომადგენლის მოსვლამდე შეუძლებელია, დააფიქსიროს მისი მდგომარეობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და არ დაიწყოს მისი რემონტი;
- ე) საკუთარი ხარჯით მიიღოს ყველა შესაძლო და საჭირო ზომა და შეასრულოს მზღვეველის ყველა რეკომენდაცია ზარალის თავიდან ასაცილებლად, ასევე ექსპლუატაციის წესები და ნორმები, უსაფრთხოების მოთხოვნები, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები და მწარმოებლის ინსტრუქციები;
- ვ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს რისკის ხარისხის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ და საკუთარი ხარჯით მიიღოს ყველა დამატებითი ზომა, რომელიც შექმნილ სიტუაციაში გახდება საჭირო. მზღვეველი, რისკის ხარისხის გაზრდის შესახებ შეტყობინების მიღების შემდგომ, უფლებამოსილია მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების ცვლილება ან/და დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა, რისკის ხარისხის ზრდის შესაბამისად; თუ დამზღვევი უარს იტყვის დაზღვევის ხელშეკრულების შეცვლაზე ან/და დამატებითი პრემიის გადახდაზე, მაშინ დაზღვევის ხელშეკრულება შეწყდება რისკის ხარისხის შეცვლის მომენტიდან, წინამდებარე ხელშეკრულების 7.11 პუნქტში მითითებული სადაზღვევო პრემიის ნაწილში არსებული პირობების გათვალისწინებით..
- ზ) სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდეგ გადასცეს მზღვეველს მესამე პირებისგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის ყველა მის ხელთ არსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

დამზღვევის/მოსარგებლის მიერ ზარალზე პასუხისმგებელი მესამე პირებისგან კომპენსაციის მიღების შემთხვევაში, ეს თანხა, მისი მიღებისთვის გაწეული ხარჯების გამოკლებით (მაგრამ მზღვეველის ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინების გარეშე) განაწილდება შემდეგნაირად:

- სრულად ანაზღაურდება დამზღვევის/მოსარგებლეს ზარალის ის ნაწილი, რომელიც აღემატებოდა ხელშეკრულებით დადგენილ ანაზღაურების ლიმიტს და არ ანაზღაურდა მზღვეველის მიერ (იმისდა მიუხედავად, გამოიყენებოდა თუ არა ფრანშიზა);
- ნაშთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან მთელი თანხა, თუ ზარალის სიდიდემ არ გადააჭარბა ანაზღაურების ლიმიტს და მზღვეველის მიერ გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება, აუნაზღაურდება მზღვეველს;
- ნაშთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება დამზღვევის/მოსარგებლის ზარალის იმ ნაწილის დასაფარად, რომელიც ფრანშიზის გამოყენების გამო არ ანაზღაურდა მზღვეველის მიერ.

8.3. მზღვეველი უფლებამოსილია:

- ა) დაათვალიეროს სადაზღვევო განაცხადში მითითებული ობიექტი, გაეცნოს მისი შენახვისა და ექსპლუატაციის პირობებს, შესაბამის დოკუმენტაციას, დამოუკიდებლად ან სპეციალური პირის (ექსპერტის, შემფასებლის და ა.შ.) მეშვეობით ჩაატაროს მისი ექსპერტიზა;
- ბ) მოითხოვოს დამზღვევისგან და შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისგან ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის ან სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად, ასევე დამოუკიდებლად გამოიკვლიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიზეზები და გარემოებები, ჩაატაროს სადაზღვევო შემთხვევის ექსპერტიზა;
- გ) მისცეს დამზღვევს მითითებები სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით ჩასატარებელი ქმედებების შესახებ;
- დ) ზარალის დარეგულირების მიზნით დანიშნოს ან დაიქირავოს სურვეიერები, ექსპერტები;
- ე) დამზღვევთან ერთობლივად ჩაატაროს საჭირო ქმედებები, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტისა და მიყენებული ზიანის სიდიდის საექსპერტო შემონმეები;
- ვ) რისკის ხარისხის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან/და დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა;
- ზ) განახორციელოს დაზღვევის ხელშეკრულებით (პოლისით) გათვალისწინებული სხვა უფლებები.

8.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

- ა) მოსთხოვოს მზღვეველს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) შეცვლა ისეთი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ რისკს;
- ბ) მოსთხოვოს მზღვეველს მასთან შეთანხმება სურვეიერების, ექსპერტების და ზარალის დარეგულირების მიზნით სხვა პირების დაქირავებისას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სხვა ექსპერტები და სპეციალისტები, რა დროსაც ამ ექსპერტების და სპეციალისტების დაქირავების საფასურს გადაიხდის დამზღვევი, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

გ) ვადამდე გააუქმოს დაზღვევის ხელშეკრულება (პოლისი) წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით დადგენილი წესით.

9. სადაზღვევო ანაზღაურება

9.1. სადაზღვევო ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევები და მხოლოდ 1.2 პუნქტში ჩამოთვლილი ქონების მიმართ მიყენებული ზარალი. ამ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევებად ითვლება მხოლოდ ის მოვლენები, რომელიც დადგა პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის ძალაში შესვლიდან 14 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ და არაუგვიანეს პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასრულების თარიღისა.

9.2. მას შემდეგ, რაც დამზღვევისთვის ცნობილი გახდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, იგი ვალდებულია:

9.2.1. 24 საათის განმავლობაში შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს ტელეფონის საშუალებით ცხელ ხაზზე (*1115; 0322241524) დარეკვით. სატელეფონო შეტყობინება შემდეგში (72 საათის განმავლობაში (აითვლება სატელეფონო შეტყობინების დაფიქსირების თარიღიდან)) უნდა დადასტურდეს წერილობით, ელექტრონული ფოსტის ან მზღვეველის მისამართზე შესაბამისი კორესპონდენციის გამოგზავნის მეშვეობით (პატივსაღები მიზეზების არსებობისას, აღნიშნული ვადა შესაძლოა გაიზარდოს მზღვეველთან შეთანხმებით).

მოცემული ვალდებულება დამზღვევის მხრიდან ჩაითვლება შესრულებულად, თუ შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ გაკეთებულია მზღვეველის საფოსტო / ელ. ფოსტის რეკვიზიტების, ასევე მზღვეველის იმ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დასახელების (ქოლ-ცენტრი) გათვალისწინებით, რომელიც ამ მიზნებისთვის არის მითითებული სადაზღვევო პოლისში. დამზღვევის მიერ ამ ვალდებულების შესრულების ფაქტი, უთანხმოების შემთხვევაში, დადასტურდება წერილობითი მტკიცებულებებით (სატელეფონო ოქმი(ჩანაწერი), ქვითარი, ხელწერილი და ა.შ.).

9.2.2. მზღვეველის გარდა, დაუყოვნებლივ შეატყობინოს:

- შსს ორგანოებს - მესამე პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ (ცეცხლის წაკიდება, ქურდობა შელწევით, ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება დ.ა.შ.);
- სახელმწიფო სახანძრო უსაფრთხოების სამსახურს - ხანძრის, აფეთქების ან მეხის დაცემის შესახებ;
- შესაბამის საავარიო სამსახურის შესაბამის ორგანოებს - წყალგაყვანილობის, გათბობის, საკანალიზაციო ან ავტომატური ხანძარსაქრობი სისტემაში აფეთქების ან ავარიის შესახებ.

9.2.3. სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე მზღვეველის წარმომადგენლის, ასევე შსს თანამშრომლების ან სხვა კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლების მოსვლამდე დაიწყოს წინასწარი ინფორმაციის შეგროვება სადაზღვევო შემთხვევის მიზეზებისა და გარემოებების შესახებ (მაგალითად, შეადგინოს თავისუფალი ფორმის აქტი ადგილობრივი ადმინისტრაციის, სხვა ოფიციალური ორგანოების, ასევე თვითმხილველების (მოწმეების) მონაწილეობით, შესაძლებლობისდაგვარად დააფიქსიროს ზიანის სურათი

- (ფოტო- ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით) და გადასცეს იგი მზღვეველს შემდგომი, უფრო ზუსტი და ობიექტური გამოძიების მიზნებისთვის.
- 9.2.4. მიიღოს შექმნილ ვითარებაში ყველა შესაძლო და გონივრული ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად და დაზღვეული ქონების გადასარჩენად.
- 9.2.5. მზღვეველის წარმომადგენლების მიერ დათვალიერებამდე შეინარჩუნოს დაზიანებული ქონება იმ მდგომარეობაში, როგორშიც იგი იმყოფებოდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ.
- 9.2.6. დამზღვევს უფლება აქვს შეცვალოს ზიანის სურათი, თუ ეს უსაფრთხოების ან ზიანის შემცირების მოსაზრებით არის ნაკარნახევი შესაბამისი სამსახურების მოთხოვნით და მზღვეველის თანხმობით. მოძრავი ქონების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, მიაწოდოს მზღვეველს დაზიანებული, განადგურებული ან დაკარგული ქონების ჩამონათვალი, რომელიც დადასტურებული იქნება საბუთებით (ჩეკი, ქვითარი, საგარანტიო ფურცელი, ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, ხელშეკრულებები და ა.შ.); ეს აღწერა უნდა მიეწოდოს მზღვეველს მასთან შეთანხმებულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ერთი თვისა (ეს ვადა შესაძლებელია გაიზარდოს პატივსაღები მიზეზის არსებობისას) სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან; აღწერაში მითითებული უნდა იყოს დაზიანებული ობიექტების ღირებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღისთვის; აღწერის შედგენის ხარჯებს იღებს დამზღვევი.
- 9.2.7. მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, სადაც მითითებული იქნება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დამზღვევისთვის ცნობილი გარემოებები და ზარალის სავარაუდო სიდიდე.
- 9.2.8. განაცხადთან ერთად მიაწოდოს მზღვეველს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებიდან მიღებული ცნობები, რომლებიც საჭიროა სადაზღვევო შემთხვევის ფაქტისა და მიზეზების დასადასტურებლად და მიყენებული ზიანის მოცულობის დასადგენად, კერძოდ:
- ხანძრის ან მეხის დაცემის შემთხვევაში - სახანძრო სამსახურის ცნობა და საექსპერტო დასკვნა;
 - წყალგაყვანილობის, გათბობის, საკანალიზაციო ან ავტომატურ ხანძარსაქრობ სისტემაში აფეთქების ან ავარიის შემთხვევაში - სახელმწიფო საავარიო სამსახურის შესაბამის ორგანოების ცნობა და საექსპერტო დასკვნა;
 - სტიქიური უბედურების შემთხვევაში - ცნობა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოდან, რომელიც ახორციელებს გარემოს მდგომარეობის ზედამხედველობასა და კონტროლს, სადაც მითითებული იქნება სტიქიური უბედურების იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი ყველა მახასიათებელი (ქარის სიჩქარე, მიწის ქერქის ბიძგების სიმძლავრე და სხვ.);
 - ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა ზიანის გამომწვევი მიზეზების გამოძიებაში მონაწილეობდნენ შსს ორგანოები, პროკურატურა და სხვა სამართალდამცავი ორგანოები - წერილობითი შეტყობინება/ცნობა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ.
- ზემოაღნიშნულთან ერთად, მზღვეველს შეუძლია სხვა დამატებითი საბუთების მოთხოვნაც, თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ასეთი საბუთების არარსებობა ართულებს ან შეუძლებელს ხდის მისთვის სადაზღვევო შემთხვევის ფაქტისა და ზიანის მოცულობის დადგენას. მისცეს

- მზღვეველს შესაძლებლობა დაათვალიეროს და გამოიკვლიოს დაზიანებული ქონება, გამოიძიოს ზიანის მიზეზები და მისი მოცულობა.
- 9.2.9. წარადგინოს საბუთები, რომლებიც ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის განადგურებულ (დაკარგულ) ან დაზიანებულ ქონებაში საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი (სადაზღვევო) ინტერესის არსებობას (საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, იჯარის ხელშეკრულება და სხვ.).
- 9.3. სადაზღვევო ანაზღაურების განაცხადისა და დამზღვევის მიერ სხვა ვალდებულებების შესრულების ფაქტი დასტურდება მზღვეველის უფლებამოსილი პირის ხელწერილით.
- 9.4. დამზღვევის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით/პოლისით გათვალისწინებული ნებისმიერი თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობა უფლებას აძლევს მზღვეველს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.
- 9.5. მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან, თუ დამზღვევი/მისი ოჯახის წევრი/მოსარგებლე განზრახ არ მიიღებს შესაძლო გონივრულ ზომებს ზარალის შესამცირებლად.
- 9.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი სადაზღვევო თანხის ფარგლებში აუნაზღაურებს დამზღვევს ან მოსარგელს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ ზარალს, რომელიც გამოიხატება დაზღვეული ქონების განადგურებაში, დაკარგვაში ან დაზიანებაში.
- 9.7. ზარალის მოცულობას განსაზღვრავს მზღვეველი მის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის მონაცემების და დაზიანებული ქონების დათვალიერების საფუძველზე, ასევე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებიდან მიღებული საბუთების საფუძველზე (ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური, სახანძრო ზედამხედველობის სამსახური, საავარიო სამსახური, პოლიცია, საგამომძიებო ორგანოები, სასამართლო და სხვა).
- 9.8. დამზღვევს უფლება აქვს მოითხოვოს დამოუკიდებელი ექსპერტიზა დაზღვეული ქონების განადგურების ან დაზიანების მიზეზების უფრო ზუსტად დადგენისა და ამასთან დაკავშირებული ზარალის სიდიდის განსაზღვრის მიზნით. დამოუკიდებელ ექსპერტიზას ატარებს მხარეების მიერ შეთანხმებული ექსპერტი (საექსპერტო კომისია).
- დამოუკიდებელი ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს:
- დამზღვევი, თუ ასეთი ექსპერტიზის შედეგები დაადასტურებს მზღვეველის დასკვნას ქონების დაზიანების ან განადგურების მიზეზებისა და მიყენებული ზარალის მოცულობის შესახებ;
 - მზღვეველი, თუ ექსპერტიზის შედეგად დადგინდება, რომ ქონების განადგურების ან დაზიანების მიზეზები განსხვავებულია მზღვეველის დასკვნაში მოყვანილი მიზეზებისგან, ან ზარალის ოდენობა აღემატება მზღვეველის დასკვნაში მითითებულ ოდენობას.
- 9.9. დაზღვეული ქონების სრული განადგურების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ქონების ღირებულებიდან გამომდინარე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის, ცვეთისა და ქონების გადარჩენილი ნაწილების ღირებულების გამოკლებით, თუ შესაძლებელია მათი გაყიდვა ან ფუნქციონალური დანიშნულებით გამოყენება. დამზღვევს არა აქვს ასეთ ნაწილებზე უარის თქმის უფლება. თუ ასეთი ნაწილების ღირებულების გამოკლება არ ხდება ასანაზღაურებელი თანხიდან, მაშინ საკუთრება აღნიშნულ ნაწილებზე გადადის მზღვეველზე.

- 9.9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად, სრული განადგურება ნიშნავს დაზღვეული ობიექტის დაკარგვას ან განადგურებას, როცა მისი აღდგენა ტექნიკურად შეუძლებელია, ან მის ისეთ მდგომარეობას, როცა მის რემონტზე და აღდგენაზე გასაწევი ხარჯი აღემატება მისი რეალური ღირებულების 75%-ს.
- 9.10. დაზღვეული ობიექტის ნაწილობრივი დაზიანებისას სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მისი აღდგენის ხარჯებით იმ მდგომარეობამდე, რომელშიც ობიექტი იმყოფებოდა უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე.
- 9.10.1. სადაზღვევო ანაზღაურება მოიცავს შემდეგ ხარჯებს:
- რემონტისთვის საჭირო მასალებისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯებს;
 - სარემონტო სამუშაოების ღირებულებას;
 - მასალების რემონტის ადგილამდე ტრანსპორტირების ხარჯებს, ასევე სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია დაზღვეული ობიექტის აღსადგენად იმ მდგომარეობამდე, რომელშიც იგი იმყოფებოდა უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე.
- 9.10.2. სადაზღვევო ანაზღაურება არ მოიცავს შემდეგ ხარჯებს:
- დაზღვეული ობიექტის ცვლილებებისა და გაუმჯობესებისთვის გაწეული დამატებითი ხარჯები;
 - გადაწყობის, პროფილაქტიკური რემონტისა და მომსახურების ხარჯები, ასევე სხვა ხარჯები, რომლებიც აუცილებელია იყო იმისდა მიუხედავად, დადგებოდა თუ არა სადაზღვევო შემთხვევა;
 - სხვა დამატებითი არააუცილებელი ხარჯები.
- 9.10.3. სახელფასო დანამატები ზეგანაკვეთური მუშაობისთვის, ღამის საათებში და ოფიციალურ დღესასწაულებზე მუშაობისთვის არ ანაზღაურდება.
- 9.10.4. მზღვევლი ანაზღაურებს წინასწარი რემონტის ხარჯებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს რემონტი საბოლოო რემონტის ნაწილს შეადგენს და თუ ის არ ზრდის რემონტის საერთო ხარჯებს.
- 9.10.5. სადაზღვევო ანაზღაურებაში შემავალი აღდგენის ხარჯები გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევის თარიღისთვის საქართველოში მოქმედი საბაზრო ფასების საფუძველზე.
- 9.11. სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლისას, აღდგენის ხარჯების თანხას დაექვითება რემონტის პროცესში ჩანაცვლებული ნაწილების, კვანძების, აგრეგატებისა და დეტალების ცვთა. ასეთი დაქვითვების ოდენობა გამოითვლება ამ ნაწილების (კვანძების, აგრეგატების და დეტალების) რეალური ღირებულებიდან და მათი ღირებულებიდან ახალ მდგომარეობაში, უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე.
- 9.12. დამზღვევის კუთვნილი სადაზღვევო ანაზღაურებიდან დაკავდება მის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობა/გადასახდელი ნაწილი.
- 9.13. თუ დამზღვევს ამ მოსარგებლეს აუნაზღაურდა ზარალი მესამე პირის მიერ, მზღვევლი გადაიხდის მხოლოდ სხვაობას დაზღვევის პირობებით ასანაზღაურებელ თანხასა და მესამე პირისგან მიღებულ თანხას შორის. დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს ასეთი თანხების მიღების შესახებ.
- 9.14. თუ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ფრანშიზა, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა მისი გათვალისწინებით წარმოებს.
- 9.15. თუ დაზღვევა სავალუტო ექვივალენტით წარმოებს, სადაზღვევო ანაზღაურება წარმოებს ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის (გადარიცხვის) დღისთვის დადგენილი კურსით.
- 9.16. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებისა და ზარალის ოდენობის დასადგენად საჭირო ყველა საბუთისა და ინფორმაციის მიღებიდან და ზარალის ანაზღაურების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს ხუთ სამუშაო დღეში.
- 10. დამზღვევის მიერ მესამე პირებისგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადაცემა მზღვეველზე (სუბროგაცია)**
- 10.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველზე, გაცემული თანხის ფარგლებში, გადადის დამზღვევის ან მოსარგებლის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირისგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.
- 10.2. მზღვეველზე გადასული მოთხოვნის უფლება ხორციელდება მის მიერ იმ წესების დაცვით, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობებს დამზღვევს / მოსარგებელსა და ზიანზე პასუხისმგებელ მესამე პირს შორის.
- 10.3. დამზღვევი და მოსარგებლე ვალდებული არიან გადასცენ მზღვეველს ყველა საბუთი და მტკიცებულება, ასევე სრული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მზღვეველის მიერ მასზე გადასული მოთხოვნის უფლების განსახორციელებლად.
- 10.4. თუ დამზღვევი ან მოსარგებლე უარს იტყვის თავისი მოთხოვნის უფლებაზე ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირისგან მზღვეველის მიერ ანაზღაურებულ ზარალის კომპენსაციაზე, ან თუ ამ უფლების განხორციელება დამზღვევის ან მოსარგებლის მიზეზით შეუძლებელი გახდა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან სრულად ან შესაბამის ნაწილში და უფლებამოსილია მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების დაბრუნება.
- 11. ორმაგი და არასრული დაზღვევა**
- 11.1. დამზღვევი / მოსარგებლე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეულ ქონებასთან მიმართებაში სხვა სადაზღვევო კომპანიებთან გაფორმებული ყველა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ. ამ დროს დამზღვევი ვალდებულია მიუთითოს სხვა სადაზღვევო კომპანიების დასახელება, დაზღვეული ქონება, სადაზღვევო რისკები და სადაზღვევო თანხები.
- 11.2. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში დაზღვეული ქონების მიმართ მოქმედებდა ასევე დაზღვევის სხვა ხელშეკრულებები ანალოგიურ რისკებზე, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას იმ ოდენობით, რომელიც შეესაბამება მზღვეველთან დადებული დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის წილს ჯამურ თანხასთან დამზღვევის მიერ გათვალისწინებული ყველა დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით.
- 11.3. თუ დაზღვეული ქონების მიმართ რამდენიმე დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება ანალოგიურ რისკებზე და ჯამურ სადაზღვევო თანხაზე, რომელიც აღემატება ქონების სადაზღვევო ღირებულებას, წარმოადგენს დამზღვევის განზრახ ქმედების შედეგს, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების ცნობა ძალადაკარგულად და მის მიმართ მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

12. დაზღვეულ ობიექტზე უფლებების გადასვლა სხვა პირზე

- 12.1. დაზღვეულ ობიექტზე უფლების მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა უფლება-მოვალეობა გადადის ასეთ პირზე, გარდა დაზღვევის ობიექტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე იძულებით ჩამორთმევის შემთხვევებისა.
- 12.2. პირი, რომელზეც გადავიდა დაზღვეულ ქონებაზე უფლება, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს. ასეთ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით დადგენილი წესის მიხედვით (7.12 პუნქტი) ვადამდე განეცხადოს დაზღვევის ხელშეკრულება იმ მიზეზით, რომ დაზღვეულ ობიექტზე უფლების გადაცემა ზრდის რისკის ხარისხს.

13. დავების გადაწყვეტის წესი და სხვა პირობები

- 13.1. წინამდებარე ხელშეკრულებების/ პოლისის გარშემო წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოში.
- მხარეთა შეთანხმებით, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო (მზღვეველის ადგილმდებარეობის (იურიდიული მისამართის) მიხედვით).
- 13.2. დამზღვევისა და მზღვეველის მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს კომერციულ ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებთან;
- 13.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებზე ხელმოწერით დამზღვევი აცხადებს თანხმობას, რომ მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადების დარღვევის ან/და არ გადახდის შემთხვევაში, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე დამზღვევთან და სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“;
- 13.4. დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს მიეწოდება წერილობითი ფორმით. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია დამზღვევს შეტყობინება გაეგზავნოს მოკლე ტექსტური ან ელექტრონული შეტყობინების სახითაც. დამზღვევის/მოსარგებლის რეკვიზიტები/მისამართები მიეთითება სადაზღვევო განაცხადში ან/და პოლისში. დამზღვევის/მოსარგებლის მისამართის / ადგილსამყოფელისა თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მზღვეველისათვის დაუყოვნებლივ არ მიწოდების შემთხვევაში, მზღვეველის მიერ დამზღვევის/მოსარგებლისათვის ამ პუნქტში მითითებული ნებისმიერი ფორმით გაგზავნილი კორესპოდენცია/შეტყობინება/წერილი ჩაითვლება ადრესატის მიერ მიღებულად;
- 13.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითო მხარისათვის.
- 13.6. ამ პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევიდან გამომდინარე დავის/უთანხმოების არსებობის შემთხვევაში დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე (მომხმარებელი) უფლებამოსილია მიმართოს მზღვეველის იურიდიული დეპარტამენტს შემდეგი საშუალებით::

- 13.7. • წერილობითი პრეტენზია – მომხმარებლის მიერ იგსება საპრეტენზიო განაცხადის სტანდარტული ფორმა და ბარდება მზღვეველის კანცელარიაში (ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.32-ა, სადარბაზო, სართული 2, კომერციული ფართი N 8);
- 13.8. • ელექტრონული პრეტენზია – მომხმარებელი პრეტენზიას აფიქსირებს ელექტრონული წერილის სახით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე გამოგზავნის გზით info@primeinsuranc.ge, მიღების შესაბამისი დასტურით;
- 13.9. • სატელეფონო პრეტენზია – მომხმარებელთა პრეტენზიის განხილვა ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაციის გზით ქოლ-ცენტრში (7/24) შემდეგ ტელეფონის ნომერზე +995 32 224 15 24/ 2 241525. სატელეფონო პრეტენზია იწერება.
- 13.10. ყველა სახის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 10 (ათი) სამუშაო დღე.
- 13.11. მომხმარებელთა უფლებების დაცვის და სადაზღვევო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მზღვეველის ცხელ ხაზზე შემომავალი ზარი იწერება.
- 13.12.
- 13.13. მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები დამუშავდება წინამდებარე პირობებში მითითებული მიზნებისთვის და სათანადოდ დაცული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად..
- 13.14.
- 13.15. ინფორმაცია მზღვეველის საზედამხედველო ორგანოს შესახებ:
- 13.16. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. მის: ქ.თბილისი, ლ.მიქელაძის ქ. N3. ტელ: +995 32 223 44 10; ელ-ფოსტა: info@insurance.gov.ge

14. დამატებითი დაფარვა.

დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა:

- 14.1. დამზღვევის მიერ, სადაზღვევო პერიოდში დაზღვეული ქონების არასათანადოდ ან დაუდევრად ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ხანძრით, აფეთქებით ან დატბორვით გამოწვეული ზარალი, რომელიც მიადგა მესამე პირთა ქონებას.
- მზღვეველის პასუხისმგებლობა მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში განისაზღვრება შესაბამის პოლისში მითითებული ქველიმიტის/ სადაზღვევო თანხის ფარგლებში.
- ამ მუხლისათვის გამონაკლისს წარმოადგენს მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანი:
- წარმოქმნილი ინ ქონების დაზიანებით ან განადგურებით, რომელიც დამზღვევის/მოსარგებელს აქვს ატარით/ქირავნობით/ლიზინგით ალებული ამ იმყოფება დამზღვევის/მოსარგებლის კონტროლის ქვეშ ამ მათი ნათესავების მფლობელობაში;
 - ზიანი, გათვალისწინებული რაიმე სხვა ხელშეკრულებით, ნებისმიერი სახის სანქცია;
 - ნებისმიერი სახის მორალური ზიანი;
 - ავეჯის/ქონებისათვის, რომლის წლოვანებაც აღემატება 50 წელს;

თუ დაზღვეულმა/მოსარგებლემ ან მათ ოჯახის წევრმა განგებ გამოიწვია მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დადგომა;

თუ მზღვეველთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, დამზღვევმა/მოსარგებლემ ანაზღაურების შესახებ აიღო ვალდებულება ან გადაუხადა მესამე პირს კომპენსაცია ან აუნაზღაურა მას სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე ხარჯები ან ცნო სარჩელი ან მორიგდა, ან სასამართლოს მიერ დამზღვევის/მოსარგებლის საწინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობაზე ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე განისაზღვრება მესამე პირისათვის მატერიალური კომპენსაციის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, სადაზღვევო ლიმიტის/ქველიმიტის ფარგლებში მზღვეველი ანაზღაურებს მისი თანხმობით გაწეული სასამართლო და სასამართლოს გარეშე დაცვაზე გაწეულ ხარჯებს.

14.2. დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაფარვის მიხედვით სადაზღვევო შემთხვევის დადაგომისას, აუცილებელია, რომ დამზღვევი:

- მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რომ დაზარალებულმა მხარემ, მზღვეველის მიერ ზარალის ანაზღაურების განხილვამდე არ მიმართოს სასამართლოს;

- გადასცეს მზღვეველის მიერ დანიშნულ პირს უფლებამოსილება, რათა აწარმოოს მოლაპარაკება დაზარალებულ პირ(ებ)თან, იყოს წარმომადგენელი სასამართლო პროცესში, ყველა პროცესუალური უფლებებით;

- დროულად შეატყობინოს დაზარალებულ პირს დაზიანებული ქონების (ზარალის ქმედების მიზნით) ესქპერტიზის ჩატარების დრო.

გარდა, წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლში მითითებული დოკუმენტებისა, დამატებით წარმოადგინოს:

- დაზარალებული მესამე პირის პრეტენზიის წერილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, სადაც დადგენილი იქნება თქვენს მიერ დაზარალებულ მესამე პირისათვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა.

ამასთან, მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე კომპენსაციის გადახდა შეიძლება განხორციელდეს მხარეთა სამხმრივი შეთანხმებით.

გავეცანი და ვეთანხმები უძრავი ქონების რემონტის და შიგთავსის დაზღვევის პირობები (ხელშეკრულება) # RPI 001/18

მზღვეველის სახელით

h. გიგისია

დამზღვევი